განკარგულება:**g-49. 492418010**
თარიღი:**28/06/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, მოქალაქე მირანდა კიკვიძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09. 43 . 043) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 ივნისის №48-482416460 წერილი , რომელშიც აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა, მოქალაქე მირანდა კიკვიძის 2024 წლის 3 ივნისის N19/482415580-03 განცხადება, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.43.043) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიცირების თაობაზე თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, მოქალაქე მირანდა კიკვიძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.43.043) მოხდეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-6-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ იქნეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება - თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, მოქალაქე მირანდა კიკვიძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09. 43 . 043) მოხდეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, თანდართულ პროექტში წარმოდგენილი მასშტაბითა და შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი